

ქართული ნარკოპოლიტიკის გავლენა ნარკოტიკების მომხმარებლებზე და მისი  
შედეგები

ნადეჟდა ჟღენტი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად ;*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

საბუნებისმეტყველო და მედიცინის ფაკულტეტის

ასოცირებული პროფესორი

დავით ოთიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნადეჟდა ჟღენტი

08.07.2020

## აბსტრაქტი

**შესავალი:** საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტანდარტული მეთოდები და ის მტკიცებულებითი სტანდარტები, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ ნარკოპოლიტიკის ძირითად ნაწილს უგულვებელყოფილია, ეს იწვევს ნარკოტიკების მომხმარებლების უფლებების შელახვას და დამატებითი პრობლემების წინაშე აყენებს. ქართული ნარკოკანონდებლობა იძლევა საშუალებას დაისაჯონ ნარკოტიკების მომხმარებლები არაპროპორციული სასჯელებით, ჩამოერთვათ ის სამოქალაქო უფლებები და დაუწესდეთ ისეთი შეზღუდვები, რომლებმაც შესაძლოა მათ სრულფასოვან ცხოვრებას შეუშალოს ხელი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წლიდან წლამდე საქართველოში იზრდება ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო უკვე წლებია წარუმატებლად ებრძვის ნარკოტიკების მოხმარებას და დიდი საზოგადოებრივი პროტესტის მიუხედავად, არ ცვლის დასჯაზე ორიენტირებულ მიდგომას.

**მიზანი:** მოცემული კვლევის მიზანია, შეისწვლოს ქართული ნარკოპოლიტიკის გავლენა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებლებზე და მათ ქცევაზე.

**მეთოდი:** კვლევისთვის შეირჩა თვისებრივი მიდგომა. სულ ჩატარდა 21 ჩადრმავებული, ინდივიდუალური ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობდა 15 ნარკოტიკების მომხმარებელი და 6 დარგში მომუშავე სპეციალისტი. ინტერვიუები ჩატარდა სატელეფონო ფორმატით, გაკეთდა ტრანსკრიპტები WORD ფორმატში და მონაცემები დამუშავდა Nvivo 11-ის გამოყენებით.

**შედეგები:** საქართველოს ნარკოპოლიტიკა მკაცრია და მის პრიორიტეტს ნარკოტიკების მომხმარებლების დასჯა წარმოადგენს. ნარკოტიკული ნივთიერებების განუსაზღვრელი ოდენობები, ნარკოტიკების მცირე ოდენობით ფლობასა და მოხმარებაზე დაწესებული სასჯელები, ჩამორთმული სამოქალაქო უფლებები იძლევა საშუალებას პირველ რიგში, დასაჯოს ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანები უსამართლო სასჯელით და ამასთან ერთად, ხელი შეუშალოს მათ როგორც საჭიროების შემთხვევაში სამკურნალო თუ ზიანის შემცირების სერვისების მიღებაში, ასევე შეუქმნას ასოციალური გარემო, რომელმაც შესაძლებელია უფრო უარყოფით გავლენას იქონიებს მათზე, ვიდრე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებამ.

**დასკვნები:** შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი ქართული ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციისთვის მნიშვნელოვანია ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიღება, რომელშიც გაერთიანებულია ყველა ის ასპექტი, რომლის ცვლილების და/ან შემუშავების აუცილებლობა აჩვენა კვლევამ. მათ შორის „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, კანონის გაუქმება, ასევე იმ სისტემის შექმნა, რომელიც გაუწევს მონიტორინგსა და რეგულარულად შეაფასებს მკურნალობის ეფექტურობას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** საქართველოს ნარკოპოლიტიკა, ნარკოტიკების მოხმრება, ბრძოლა ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ.

## **Abstract**

**Introduction:** The standard methods of public health and the evidential standards that should have been the main part of the drug policy are neglected, which led to the violation of the rights of drug addicts and posed additional problems. Georgian drug law allows drug addicts to get sentenced disproportionately, deprive their civil rights, and impose restrictions that may prevent them from living a full life. Given that the number of drug addicts in Georgia is growing from year to year, we can say that Georgia has been unsuccessfully fighting with drug abuse for years and, despite the public outcry, does not change its punishment-oriented approach.

**Purpose:** The aim of this study is to investigate the impact of Georgian drug policy on users of psychoactive substances.

**Method:** A qualitative approach was selected for the study. A total of 21 in-depth, individual interviews were conducted. The study involved 15 drug addicts and 6 specialists working in the mentioned field. The interviews were conducted by phone, transcripts were made in WORD format, and the data was processed using Nvivo 11.

**Results:** The drug policy of Georgia is strict and prioritizes punishing drug addicts. Indeterminate amounts of drugs, punishments imposed for possession and consumption of small

amounts of drugs, and deprivation of civil rights allow people to be punished illegitimately and, at the same time, prevent them from receiving treatment or harm reduction services as needed, as well as create a social environment, which could have a more negative impact on them than drug use.

**Conclusions:** Based on the results, we can say that in order to humanize today's Georgian drug policy, it is important to adopt a bill initiated by the National Drug Policy Platform, which combines all aspects that need to be changed and/or developed as it is represented by the research. Among them is the cancellation of the "Law of Georgia on Combating Drug-related Crime", as well as the creation of a system that will monitor and regularly evaluate the effectiveness of treatment.

**Keywords:** Georgian Drug Policy, Drug Use, War on drugs.

## მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, დავით ოთიაშვილს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვისა და რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ყველა რესპოდენტს, რომ გამონახეს დრო კვლევაში მონაწილეობისთვის და მომაწოდეს კვლევისთვის ღირებული ინფორმაცია.